ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3685196

ნომერი: AR1558126

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 15.11.2017

გაცნობის თარიღი : 16.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ბ , (ნაკვ. 8/6) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა მხეიძე პ/ნ 60001011848
- ქუთაისი ს.გუგუნავას ქ. 15 N 3 ბ. 110

ორგანიზაცია:

- შპს "ალიანსი თბილისი" კოდი: 405144703

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 ნოემბრის №AR1558126 განცხადებით მომართა ელგუჯა მხეიძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, N49ბ-ში (ნაკვ. 8/6), შპს ,,ალიანსი თბილისის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.14.07.008.123, მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და სასტუმრო) შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ სამსახურის მიერ გაცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, სარეზოლუციო ნაწილში უნდა დაემატოს პუნქტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება დამკვეთის შემდეგი ვალდებულება (პირობა): ნებართვის გაცემიდან 6 თვის ვადაში წარმოადგინოს სამეზობლო საზღვარზე შენობის განთავსების წესების შესაბამისად N01.14.07.008.135 და N01.14.07.008.035 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - სახელმწიფოს თანხმობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 15 ნოემბრის №AR1558126 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულება (პირობა) გათვალისწინებული იყო ელგუჯა მხეიძის 2017 წლის 6 სექტემბრის განცხადებაში, რომლის საფუძველზეც სამსახურმა გამოსცა 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანება. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებაში, კერძოდ ამავე ბრძანებას სარეზოლუციო ნაწილში დაემატოს მე-5 და მე-6 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დაევალოს დამკვეთს, წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოადგინოს N 01.14.07.008.135 და N 01.14.07.008.035 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - სახელმწიფოს თანხმობა, სამეზობლო საზღვარზე პროექტით გათვალისწინებული ღიობებისა და ღია ნაწილების მოწყობასთან დაკავშირებით.

6. ბრძანების მე-5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად“.

2. სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3653964 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.